

## 1. დაადგინე საექსპორტო პროდუქტის სატარიფო კოდი 6-ნიშნა დონეზე

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის [საგარეო ვაჭრობის პორტალზე](#) შეგიძლია იპოვო სატარიფო კოდი საექსპორტო პროდუქტის დასახელების მითითებით და ნახო პროდუქტის ვაჭრობის სტატისტიკა საქართველოსა და ნებისმიერ ქვეყანას ან რეგიონს შორის:

## 2. გაარკვიე იბეგრება თუ არა ამ პროდუქტის იმპორტი ევროკავშირში

საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრის (ITC) ბაზრების ხელმისაწვდომობის პორტალის [Market Access Map](#) სატარიფო რუკა ერთ-ერთი ყველაზე მარტივად გამოსაყენებელი და სასარგებლო რესურსია იმის დასადგენად თუ როგორ ბეგრავენ ქვეყნები იმპორტის გადასახადით ერთმანეთს.

- გახსენი კონკურენტების შედარების გვერდი [Compare Competitors](#)
- შეიყვანე საექსპორტო პროდუქტის სატარიფო კოდი
- ექსპორტიორი ქვეყნის გრაფა დატოვე უცვლელად
- იმპორტიორ ქვეყნად მონიშნე ნებისმიერი ევროკავშირის ქვეყანა და იხილე ძიების შედეგები ცხრილის (Table), გრაფიკის (Chart) და რუკის (Map) ფორმატში.

ინტერაქტიული რუკის გამოსახულება (Interactive Map) ყველაზე კარგად წარმოაჩენს ევროკავშირის დაბეგრვის პოლიტიკას მოცემულ პროდუქტზე, მაგრამ ცხრილის (Table) მეშვეობით შეძლებ იხილო იმპორტიორი ქვეყნების სატარიფო უპირატესობა. ყურადღება მიაქციე სატარიფო უპირატესობის (Preferential Margin) სვეტში განთავსებულ მაჩვენებლებს - რაც გულისხმობს სხვაობას ზოგადად დადგენილ იმპორტის ტარიფსა და კონკრეტული ქვეყნისთვის მინიჭებულ საშეღავათო ტარიფს შორის.

მაგალითად, თუ იმპორტიორ ევროკავშირის ქვეყანას ველში „MFN Tariffs“ მითითებული აქვს 10% ტარიფი, ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყველა წევრს ის დაბეგრავს არაუმეტეს ამ ტარიფით (მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა [WTO](#) წევრია). შესაბამისად, საქართველოსთვის კონკურენტებად რჩება ის ქვეყნები, რომლებთანაც ევროკავშირს აქვს ცალკე შეთანხმებული საშეღავათო ვაჭრობა, და განსაკუთრებით, თუ ეს ინდივიდუალური შეღავათი 0%-ის ტოლია (მაგალითად, ნებისმიერ ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყანა).

წინამდებარე პორტალზე იმავე პრინციპით შეიძლება შეადარო სხვადასხვა პროდუქტები გვერდზე [Compare Products](#) და გაიგო რომელ თქვენს პროდუქტს ექნება სატარიფო უპირატესობა ევროკავშირში (ან სხვაგან).

## 3. თუ იბეგრება, შეადარე, რა შეღავათით სარგებლობს საქართველო სხვა იმპორტიორებისგან განსხვავებით

[DCFTA ბიზნესისთვის](#) ვებგვერდზე მოცემულია ინფორმაცია ევროკავშირში ექსპორტირებული ქართული წარმოშობის საქონლის დაბეგრვის წესებზე. ზოგიერთი პროდუქტი შეიძლება იბეგრებოდეს განსაკუთრებული პირობებით მისი ფასიდან, რაოდენობიდან და ექსპორტის სუზონურობიდან გამომდინარე.

თუ შენი პროდუქტი არ შედის [ამ გვერდზე](#) ჩამოთვლილი გამონაკლისების სიაში, ეს ნიშნავს რომ იგი ევროკავშირის მიერ არ იბეგრება.

#### **4. თუ შედავათი მომხიბვლელია, დაადგინე რომელი წარმოშობის წეს(ებ)ი ეხება შენს პროდუქტს**

ქართულ ენაზე ინფორმაციის მისაღებად, გაეცანი [DCFTA ბიზნესისთვის](#) პორტალის გვერდს [წარმოშობის წესები](#) სადაც მოცემულია დეტალური ინფორმაცია და ბმულები შესაბამის წყაროებზე.

არსებობს ასევე ინგლისურენოვანი ონლაინ პორტალები, სადაც შეძლებ საძიებო სისტემაში შეიყვანო სატარიფო კოდი, მიუთითო ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები და გაეცნო კონკრეტულად ამ სატარიფო კოდზე მოქმედ წარმოშობის წესს.

ევროკავშირის ბაზრებზე წვდომის პორტალი [Access2Markets](#) იძლევა იმპორტის ტარიფის და პროდუქტის წარმოშობის წესის დადგენის შესაძლებლობას. შეგიძლია შეავსო ავტომატური თვითშეფასების ფორმა [ROSA](#) და გაიგო მიენიჭება თუ არა შენს პროდუქტს EUR.1 სერტიფიკატი. ეს ონლაინ ხელსაწყო ასევე დაგეხმარება მოახდინო სხვადასხვა გადამუშავება-დამუშავების პროცესის მოდელირება, თუ ამჟამინდელი წარმოების ციკლი ვერ აკმაყოფილებს პრეფერენციულ წარმოშობის წესს. გაითვალისწინე, რომ ROSA მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა.

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის ონლაინ პორტალზე [Rules of Origin Facilitator](#) შესაძლებელია წარმოშობის წესების დადგენა კონკრეტული პროდუქტისთვის არამარტო ევროკავშირის, არამედ მსოფლიოს მასშტაბით. საძიებო ველებში შეიყვანე სატარიფო კოდი და გამგზავნი და მიმღები ქვეყნები, რომ იხილო შესაბამისი წარმოშობის წესი.

გაითვალისწინე, რომ 2021 წლის 1 სექტემბერიდან საქართველოსა და ევროკავშირის შორის ამოქმედდა წარმოშობის უფრო გამარტივებული [ალტერნატიული წესები](#). ამიტომ, გადაამოწმე, რომ ზემოთ ჩამოთვლილ პორტალზე მოცემული ინფორმაცია ასახავს ამ განახლებას.

#### **5. თუ ეჭვი გეპარება რომ შენი პროდუქტი აკმაყოფილებს პრეფერენციული წარმოშობის წესს, მიმართე შემოსავლების სამსახურს გადასამოწმებლად**

წარმოშობის წესები რთული ტექნიკური თემაა, განსაკუთრებით არაპროფესიონალებისთვის. ამიტომ, ბევრი ექსპორტიორი მიმართავს შემოსავლების სამსახურს მიღებული ინფორმაციის დასადასტურებლად. მნიშვნელოვანია, რომ მიმართვამდე კარგად გაეცნო პროდუქტის წარმოების პროცესს რომ შეძლო ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. დაუკავშირდი შემოსავლების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრს +995 32 299 299 ან შეავსე [ინფორმაციის მოთხოვნის ფორმა](#).

#### **6. თუ დარწმუნდი რომ შენი პროდუქტი აკმაყოფილებს პრეფერენციული წარმოშობის წესს, შეავსე წარმოშობის დეკლარაცია ან მოითხოვე EUR.1 სერტიფიკატი**

წარმოშობის დეკლარაციის, წარმოშობის სერტიფიკატის და უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მისაღებად გაეცანი შემოსავლების სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ [ინსტრუქციას](#).